




მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

მაისი, 2024


- 2024 წლის აპრილში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 11.8 პროცენტი, ხოლო 2024 წლის პირველი 4 თვის საშუალო ზრდა 9.0 პროცენტზე დაფიქსირდა
- აპრილში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 2.0 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 1.7 პროცენტს
- აპრილში ექსპორტი შემცირდა წლიურად 12.7 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 11.3 პროცენტით, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 27.8 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 925 მლნ აშშ დოლარს
- აპრილის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა 3.3 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და გაიყარდა 0.2 პროცენტით წინა თვესთან
- მაისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8 პროცენტამდე შეამცირა

წინასწარი შეფასებით აპრილში ეკონომიკურმა ზრდამ 11.8 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ




ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



- წინასწარი შეფასებით, 2024 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 11.8 პროცენტი შეადგინა, 2024 წლის იანვარი-აპრილის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 9.0 პროცენტია, ხოლო სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ მარტში წინა თვესთან შედარებით 2.6 პროცენტი შეადგინა.
- 2024 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, გრანსპორტი და დასაწყობება, ვაჭრობა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები.
- კლება დაფიქსირდა ენერგეტიკის სექტორში.


ეკონომიკური ზრდა 2024-2019




წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2023 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 6.9 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2023 IV კვარტალი




მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2023 IV კვარტალი




- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკა 6.9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მესამე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 7.0 პროცენტით. 2023 წლის მეოთხე კვარტალის ზრდა 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 27.7 პროცენტზე მეტს გულისხმობს.
- 2023 წლის მეოთხე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
 - განათლება: 30.4 % (1.3 პ.პ.)
 - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები: 27.3 % (0.5 პ.პ.)
 - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები: 26.9% (0.2 პ.პ.)
 - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 25.9 % (1.6 პ.პ.)
 - ტრანსპორტი და დასაწყობება: 17.7 % (1.8 პ.პ.)
 - სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება 16.8 % (1.0 პ.პ.)
 - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: 9.9 % (0.9 პ.პ.)
 - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი: 9.4 % (1.5 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
 - სოფლის, საცდო და თევზის მეურნეობა: -8.1% (-0.5 პ.პ.)
 - ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება: -10.6 % (-0.3 პ.პ.)

წყარო: საქსტატი


მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




საბაზო ინფლაცია



ინფლაციის დეკომპოზიცია




ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სეზ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საგაჭრო დეფიციტი აპრილში წლიურად გაიზარდა 15.7 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




- აპრილში ექსპორტი წლიურად შემცირდა 12.7 პროცენტით და გაუტოლდა 437.2 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 9.1 პროცენტით და გაუტოლდა 200.3 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად შემცირდა 11.3 პროცენტით და გაუტოლდა 1 362.2 მლნ აშშ დოლარს.
- საგაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 15.7 პროცენტით და გაუტოლდა 1 161.9 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა -8.7 პროცენტი (-15.5 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიგანა უარყოფითი 12.7 პროცენტიანი წვლილი (-42.2 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა 0.3, 8.7 და 2.3 პროცენტი, შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %




იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, აპრილი



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, აპრილი



ექსპორტის გოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 132.8 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 30.4 პროცენტი.
- ყურძნის ნატურალური ღვინოები: 43.0 მლნ აშშ დოლარი - 9.8 პროცენტი.
- ეთილის სპირტი არადენატურის სპირტის კონცენტრაციით 80 მოც. %-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები: 22.8 მლნ. აშშ დოლარი - 5.2 პროცენტი.

იმპორტის გოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 174.0 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 12.8 პროცენტი.
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 133.0 მლნ აშშ დოლარი - 9.8 პროცენტი.
- სამკერძო საშუალებები დაფასოებული: 64.1 მლნ აშშ დოლარი - 4.7 პროცენტი.

ექსპორტის გოპ ქვეყნები:


- რუსეთი: 69.6 მლნ. აშშ დოლარი, - 15.9 პროცენტი.
- ყაზახეთი: 61.3 მლნ. აშშ დოლარი, - 14.0 პროცენტი.
- აზერბაიჯანი: 57.4 მლნ. აშშ დოლარი - 13.1 პროცენტი.

იმპორტის გოპ ქვეყნები:

- ევროკავშირი: 377.8 მლნ. აშშ დოლარი, - 27.7 პროცენტი.
- თურქეთი: 213.5 მლნ. აშშ დოლარი, - 15.7 პროცენტი.
- ჩინეთი: 152.2 მლნ. აშშ დოლარი - 11.2 პროცენტი.

2024 წლის აპრილში დაფიქსირდა წმინდა ფულადი გზავნილების 27.4 პროცენტის კლება

წმინდა ფულადი გზავნილები, 2024-2019




წმინდა ფულადი გზავნილები, აპრილი 2024

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, კპ
რუსეთი	45.6	-70.9	-32.5
აშშ	44.9	38.1	3.6
იტალია	44.8	12.0	1.4
საბერძნეთი	20.3	6.4	0.4
გერმანია	19.8	16.0	0.8
ისრაელი	19.4	17.7	0.9
სხვა	53.3	-11.1	-1.9

2024 წლის აპრილში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 248.1 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 27.4 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 110.3 პროცენტით მეტია.

- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
 - პოლონეთი: 53.5 პროცენტი (0.2 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - ირლანდია: 42.8 პროცენტი (0.4 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - საფრანგეთი: 15.6 პროცენტი (0.2 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით




- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
 - აზერბაიჯანი: -90.2 პროცენტი (-0.6 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - რუსეთი: -70.9 პროცენტი (-32.5 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - ყაზახეთი: -41.4 პროცენტი (-2.3 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - თურქეთი: -28.7 პროცენტი (-0.2 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

აპრილში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 3.3%-ით გაუფასურდა


ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას


	1 ივნისი, 2024	1 ივნ 2024 - 1 იან 2024	1 ივნ 2024 - 1 იან 2023
ევრო	3.0319	▼ -1.9%	▼ -4.9%
აშშ დოლარი	2.7949	▼ -3.8%	▼ -3.3%
თურქული ლირა	0.0868	▲ 4.8%	▲ 66.2%
რუსული რუბლი	0.0310	▼ -3.4%	▲ 18.7%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	183.08	▼ -1.7%	▲ 11.3%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (აპრილი 2024)	147.33	▼ -0.4%	▲ 1.4%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)

პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი




- 2024 წლის მაისში ჩატარდა 6 გამოშვებისა და 1 გამოსყიდვის აუქციონი. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა გამოშვების მოცულობამ შეადგინა 256.77 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 8.67%-ზე დაფიქსირდა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის და 3, 5, 7 და 11 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 400 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები. განხორციელდა 40 მლნ ლარის ღირებულების სახაზინო ობლიგაციების დაფარვა.

ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი





ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (31 მაისი)





- სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 2024 წლის 31 მაისისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 28.9% ფორმირებულია (წინა პერიოდში 37.1% იყო) იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა ღეგება მომავალი 1-3 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 3-დან 5 წლამდე ობლიგაციებს (27.6%). 5 წელზე მევით დაფარვის მქონე ფასიანი ქაღალდების წილი 22.8%-დან 25.3%-მდე გაიზარდა.
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (აპრილი 1.71) შედარებით გაიზარდა და 1.82 შეადგინა.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო




სესხების ლარიზაცია



დეპოზიტების ლარიზაცია




- 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 55.2 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 72.4 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 35.6 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 50.7 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 76.7 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 36.4 პროცენტს შეადგენს.
- ვალიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 55.9 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 48.7 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 44.5 პროცენტს შეადგენს.




- 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 19.1 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 22.6 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 16.0 პროცენტს შეადგენს.
- 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 20.6 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 17.3 პროცენტს გაუტოლდა.
- 2024 წლის 1 მაისის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 21.3 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 24.7%-ით, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 18.3 პროცენტით გაიზარდა.


დეპოზიტების წლიური ზრდა, %



დეპოზიტების წლიური ზრდა, %




დეპოზიტების წლიური ზრდა, %




- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2024 წლის 1 მაისის 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19.1 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუგოლდა 29.4 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 10.1 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 18 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 18.3 პროცენტს გაუგოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2024 წლის მაისის დასაწყისში შეადგინა 10.1 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 34.3 პროცენტს გაუგოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 8.3 პროცენტი.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



- საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომა 2024 წლის 22 მაისს გაიმართა და კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 0.25 პპ-ით შემცირებისა და ის 8.0%-ზე დააფიქსირა.
- სებ-ს მიხედვით, ინფლაცია სამიმზე მაჩვენებელზე (3 პროცენტი) დაბალია. ამის მიზეზებია როგორც საგარეო, ისე საშინაო ფაქტორები; მწვავე გეოპოლიტიკური ვითარება გარკვეულწილად მრდის გაურკვევლობას. რაც შეეხება შიდა ფაქტორებს, ამ მხრივ აღსანიშნავია ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ინფლაციის კლება და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გავლენები ფასებზე. გაუმჯობესებულია ეკონომიკური და საკრედიტო აქტივობები. ბევრმა მცირედით მაინც გაზარდილია ინფლაციური მოლოდინები. მიმდინარე წლის მაისში ფაქტობრივმა ინფლაციამ 2.0 პროცენტი შეადგინა. მოსალოდნელია, რომ 2024 წლის პირველ ნახევარში ინფლაცია მიზნობრივი ინფლაციის ირგვლივ იმოძრაავს. მიუხედავად ბევრმა აღნიშნული ტენდენციებისა ინფლაციის მრდის რისკები მაღალ დონეზე რჩება, რაც მეტწილად მწვავე გეოპოლიტიკური სიტუაციითან ასოცირდება და ეს ფაქტი სებ-ს უბიძგებს მონეტარული პოლიტიკის ნელი გემპით შერბილებისაკენ.
- მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2024 წლის 19 ივნისს ჩატარდება.
- 2024 წლის მაისში ეროვნულმა ბანკმა განახორციელა სავალუტო ბაზარზე ჩარევები და ჯამში გაყიდა 108.7 მლნ აშშ დოლარი მოკლევადიანი სავალუტო რყევების თავიდან ასაცილებლად.

წყარო: სებ

საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- წყარო: სეზ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge



საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო